N 8
02/07/2019

8-07-4-201907021037

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი 26. 06. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება:

იმის გათვალისწინებით, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოში ინიცირების შემდეგ გარკვეული ცვლილებები განხორციელდა მთავრობის მიერ გამოცემულ განკარგულებებში, ამასთან მუნიციპალიტეტის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზის საფუძველზე იკვეთება მიმდინარე ხარჯების შიდა გადანაცვლების აუცილებლობა, ეს საკითხი დამატებით შესწავლის მიზნით ამოღებულია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან, ასევე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ და მოუწოდა ბიუროს წევრებს დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა ეს საკითხი.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს წევრმა **ირაკლი მარშანიშვილმა** გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება:

პარტია ,,ევროპული საქართველო“ სოლიდარობას უცხადებს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს და პროტესტის ნიშნად არ დაესწრება საკრებულოს სხდომას მანამ, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული აქციის მონაწილეთა მოთხოვნები.

საკრებულოს წევრებმა **ირაკლი მარშანიშვილმა** და **ამირან გიგინეიშვილმა** პროტესტის ნიშნად საკრებულოს სხდომა დატოვეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან

დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გია ნაჭყებია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

5. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ. მან განმარტა, რომ დადგენილების პროექტი განიხილა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ და შეტანილია შემდეგი სახის ცვლილებები:

1. 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს აქვს ოფიციალური ვებგვერდი, რომლის მისამართია WWW.lanchkhuti.gov.ge. აღნიშნული ვებგვერდი წარმოადგენს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილს, სადაც საჯაროდ გამოცხადების მიზნით ღიად განთავსდება საკრებულოს სამართლებრივი აქტები, აგრეთვე საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი დოკუმენტები ან/და ინფორმაცია.“;

2. მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1 საკრებულოს ღია სხდომაზე მიმდინარეობს სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება, მათ შორის სხდომის პირდაპირი ვიდეოჩვენება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე: WWW.lanchkhuti.gov.ge და ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული მონიტორის მეშვეობით.“;

3. 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება საკრებულოს სხდომის ჩატარების შესახებ სხდომის ადგილისა და დროის მითითებით, სხდომაზე განსახილველი საკითხების დღის წესრიგი, სხდომაზე განსახილველი (ინიცირებული) სამართლებრივი აქტების პროექტები ქვეყნდება სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო გაცნობისთვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფაზე განთავსების ფორმით და საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე: WWW.lanchkhuti.gov.ge. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტები შესაძლებელია გამოქვეყნდეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით წინასწარ განსაზღვრულ მასობრივი ინფორმაციის შესაბამის ბეჭდვით საშუალებებში.“;

4. 84-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მომხსენებელი ვალდებულია ამ რეგლამენტის 82-მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეკვიზიტებით განათავსოს განცხადების ტექსტი აპლიკაციაში, ქართული „Sylfaen” შრიფტით და აპლიკაციაში დოკუმენტების ატვირთვის გზით, თან დაურთოს ამ რეგლამენტის 82-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“- „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები.“

5. 87-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 87. პეტიციის განხილვასთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიისა ან სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას ამ რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე;

ბ) ამ რეგლამენტის 81-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

2. ამ რეგლამენტის 86-ე მუხლისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენ სუბიექტს.

3. პეტიციის ინიციატორებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომების გამართვის თარიღი, დრო და მდებარეობა 1 კვირით ადრე მაინც უნდა ეცნობოს.

6. 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 88. პეტიციის განხილვა საკრებულოს სხდომაზე
1. ამ რეგლამენტის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 1 თვის ვადაში, საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელსაც საკრებულო განიხილავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.
2. ამ რეგლამენტის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში.
3. ამ რეგლამენტის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რასაც იგი ცნობად იღებს ან არ ეთანხმება შესაბამისი კომისიის/სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას.
4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.
5. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ, უფლებამოსილების შესაბამისად, გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.
6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.
7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.
7. 90-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 90. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეების მიღების წესი
1. ნებისმიერ მოქალაქეს წინასწარი ნებართვის გარეშე უფლება აქვს შეხვდეს საკრებულოს წევრს.
2. საკრებულოს მაჟორიტარი წევრი კვირაში ერთხელ მაინც ვალდებულია მოაწყოს მოსახლეობასთან შეხვედრა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.
3 საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მიერ ამომრჩეველთა მიღების გრაფიკი, დღე, ადგილი და საათი ქვეყნდება შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.“
8. 105-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 105. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების გამოქვეყნება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
1. საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს:

ა) ცნობა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ - შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც;
ბ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები – სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;
გ) ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე მერის დასკვნა და ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი (შესწორების შემთხვევაში) - საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოში წარდგენიდან 2 დღის ვადაში.
დ) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს – საკრებულოსთვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
ე) საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით - ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;
ვ) საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების გრაფიკის - გრაფიკის დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში;
ზ) დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილებას - დასახლების საერთო კრების ჩატარებიდან ხუთი დღის ვადაში;
თ) მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს - შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში;
ი) საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩეველთა მიღების დღეს, ადგილს და საათებს - მიღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მაინც;
კ) საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის დღეს, ადგილს, საათებს და დღის წესრიგს (მისი არსებობის შემთხვევაში) – შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც;
ლ) საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს – ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
მ) საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის წლიურ ანგარიშს – ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
ნ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველ სხვა დოკუმენტებს - საკრებულოს აპარატში რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში.
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები განთავსებული უნდა იქნეს თვითმმართველი ერთეულის ვებგვერდზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა”, ,,გ”, ,,დ”, ,,ე”, ,,ვ”, ,,თ”, ,,ი” , ,,კ”, ,,ლ” და ,,მ” პუნქტებით დადგენილი დოკუმენტები აგრეთვე შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის შესაბამის ბეჭდვით საშუალებებში. თუ დოკუმენტი დიდი მოცულობისაა ქვეყნდება მხოლოდ ამ დოკუმენტის დასახელება, მოკლე შინაარსი და მითითება, რომ მისი გაცნობა შესაძლებელია საკრებულოს აპარატში.
9. 111-ე მუხლის
ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. საკრებულოს ნორმატიული აქტი - საკრებულოს დადგენილება ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), ხოლო საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების შემდეგ, ასევე, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.lanchkhuti.gov.ge).“;
ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ან თუ ეს პირდაპირ მითითებულია სამართლებრივ აქტში ხდება საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების საჯაროდ გამოცხადება. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტების საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს მათ განთავსებას საკრებულოს ოფიციალურ

ვებგვერდზე: www.lanchkhuti.gov.ge ან/და მათ ღიად განთავსებას ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.“.

სხდომას შემოუერთდა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 10 (26.06.2019)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის“ მეორე მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია წერილობითი გამოქვეყნების გარდა, ქვეყნდება პროაქტიულად მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე: lanchkhuti.gov.ge.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 11 (26.06.2019)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო

სკოლათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 22 აპრილს მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ (ს/კ 433649411) დირექტორმა ლია ურუშაძემ N31 განცხადებით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების-(ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ.N31-ში მდებარე 434კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული 300,3 კვ.მ. მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.52.010)) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისათვის“ არის მიზანშეწონილი, რადგან ის შეძლებს მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის განმარტებით პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

სხდომას შემოუერთდნენ საკრებულოს წევრი ზაალ სანაძე და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 35 (26.06.2019)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ია ჩხაიძემ. მისი განმარტებით საჭიროა აღნიშნული განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამის“ თანხა განისაზღვროს 4900 ლარის ოდენობით, ხოლო განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით

დამტკიცებული „განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამის“ თანხა განისაზღვროს 3200 ლარის ოდენობით. ამ 200 ლარის ,,ა“ პუნქტიდან ,,ბ“ პუნქტში გადატანის საჭიროება წარმოიშვა მიმდინარე წელს, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის დირექტორის, ხათუნა აფხაზავას ,,ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ პროექტების კონკურსში ,,მასწავლებელი-მეგზური ევროპისკენ'' გამარჯვების შედეგად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 36 (26.06.2019)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ **ციცინო ჩხაიძემ** დააყენა საკითხი ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოს კეთილმოწყობის შესახებ და ასევე დაინტერესდა, თუ როდის იგეგმება მერიის სამსახურში გენდერული თანასწორობის საბჭოს სპეციალისტის დანიშვნა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ საპირფარეშოს პრობლემა მართლაც აქტუალურია, მაგრამ პირველ რიგში ქალაქის ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია ცენტრალური კანალიზაცია, ეს ყველაფერი კი დიდი ოდენობით თანხებთანაა დაკავშირებული, რის გამოც კერძო მეწარმემ უარი თქვა ამ პროექტის განხორციელებაზე და ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი. მისი თქმით სემეკის მიერ დადგენილია შემდეგი ტარიფები: მოსახლეობისთვის ერთი წერტის დაერთება ცენტრალურ კანალიზაციასთან 1000- ლარი, კერძო მეწარმისთვის კი 12000 ლარი. მან აქვე განმარტა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს სპეციალისტის დანიშვნა მერიაში აუცილებლობიდან გამომდინარე 1 ივლისიდან იქნება შესაძლებელი.

საკრებულოს წევრმა **გოდერძი ქურიძემ** ითხოვა ფინანსური დახმარება მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მშენებარე ამბულატორიისთვის საპირფარეშოს მოსაწყობად, რადგანაც საპირფარეშოს გარეშე ამბულატორია ვერ მიიღებს ლიცენზიას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მაჩხვარეთში მშენებარე ობიექტს სახელმწიფოს მიერ ამბულატორიის სტატუსის მისანიჭებლად სჭირდება მთელი რიგი პროცედურების გავლა, როგორც შენობის მოწესრიგება ასევე ექიმიც, რაც დამატებით ფინანსებთან არის დაკავშირებული და მხოლოდ მუნიციპალიტეტზე არ არის დამოკიდებული. მან აქვე განმარტა, რომ სოფლის კრებაზე, სადაც მაჩხვარეთის მოსახლეობამ დააყენა საკითხი სოფლის პროგრამით ამბულატორია

გაეკეთებინათ, მათ აუხსნეს რა პრობლემებიც შეიქმნებოდა, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობამ პრიორიტეტად მაინც ამბულატორია დაასახელა. მისი თქმით, ახლა ჯერი სახელმწიფოზეა რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ხოლო თავად მოსახლეობის გვერდით იქნება შესაძლებლობის ფარგლებში.

საკრებულოს წევრმა **ამირან ქათარიამ** გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ქალაქის ცენტრში არსებული საათი აჩვენებს არასწორ დროს, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა უპასუხა, რომ ეს პრობლემა მოგვარებადია.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე **სპარტაკ კვაჭაძე** დაინტერესდა როდის დასრულდება 2018 წლის 17 სექტემბრის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. მისი თქმით, სტიქიის შედეგად დაზიანდა 8 ხიდი და ჯერ-ჯერობით არც ერთი არ არის დაპროექტებული, ამ კითხვაზე პასუხი მასთან ერთად აინტერესებს მოსახლეობასაც.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** განავრცო თემა ხიდების დაპროექტებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, წლების წინ ყველა პროექტი ხიდებთან მიმართებაში ერთად კეთდებოდა და ეს პრაქტიკა კარგად მუშაობდა, მაგრამ ახლა მიდგომები შეიცვალა და იკარგება უამრავი თანხა. ალექსანდრე მახათაძემ იქვე აღნიშნა, რომ მას ხელთ აქვს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მთავრობას ამ საკითხის მიმართ აქვს შემდეგი მიდგომა-,,მოგვაწოდეთ პროექტები და დაგაფინანსებთ“ და ამ დროს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ვერ აწვდის პროექტებს, ე. ი. ინფრასტრუქტურის სამსახური ვერ მუშაობს სათანადოდ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა ნიგოითის თემში განსახორციელებელი პროექტების შეუსრულებლობაზე. მან განმარტა, რომ მის მიერ ინფრასტრუქტურის სამსახურში მიტანილი ათი პროექტიდან ზემდგომ სამსახურს გადასცეს ნაკლები რაოდენობის პროექტი, შემდგომ იქედან ჩამოვიდა სამი პროექტის დაფინანსება და საბოლოოდ ჯიხეთის გზის გარდა არაფერი არ გაკეთებულა. ზაზა წულაძეს მიაჩნია, რომ უპრიანი იქნება პროექტები ადმინისტრაციული ერთეულების მიდვით გაკეთდეს და არა ერთად მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ მერს და შესაბამის სამსახურებს მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა, რათა ეს ყველაფერი უარყოფითად არ აისახოს მოსახლეობის განწყობაზე და მუნიციპალიტეტში მეტი კარგი საქმე გაკეთდეს, რასაც დაეთანხმა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე.** მისი თქმით, აუცილებელია ინფრასტრუქტურის სამსახურმა პროექტების პრიორიტეტებზე საქმის კურსში ჩააყენონ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, რადგან რიგ შემთხვევებში მათ არ იციან საკუთარ თემში რის გაკეთებას აპირებს ინფრასტრუქტურის სამსახური.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში
დაზიანებულია 40-ზე მეტი ხიდი, რომელთა დაპროექტება ადგილობრივ სამსახურს არ შეუძლია, ყველა ზარალის სტიქიაზე მიწერა არ შეიძლება, შესაბამისად სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხები ამ ყველაფერს ვერ წვდება და ამიტომ დარჩა

სამუშაოები დაუსრულებელი, ყველაფერი არის ფინანსებზე დამოკიდებული და რა ფინანსებიც ექნება სახელმწიფოს იმის მიხედვით გაკეთდება სამუშაოები, ხოლო რაც შეეხება ინფრასტრუქტურის სამსახურის მუშაობას, სტანდარტები შეიცვალა, შესაბამისი აღჭურვილობა არ გააჩნიათ და აპროექტებენ მხოლოდ გაბიონებს, ანალოგიურად ხდება სხვა მუნიციპალიტეტებშიც. ალექსანდრე სარიშვილის განმარტებით, ორი წლით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს და ზოგადად რეგიონს ემსახურება რეალ ექსპერტი, რომელიც ამოწმებს შესრულებულ სამუშაოებს, აგრეთვე შემოსულია სამი კომპანია, წყლის ცალკე, გზის და ხიდების ცალკე, გაბიონების და ქუჩების მოწყობის ცალკე, რომლებიც ორი წლის განმავლობაში მისი კომპეტენციის ფარგლებში გააკეთებენ მუნიციპალიტეტის მიერ შეკვეთილ ნებისმიერ პროექტს, ხოლო სახელმწიფო თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დაგვიფინანსებს ამ პროექტებს. მან აქვე დასძინა, რომ მისთვის გასაგებია ყველას თავისი ადმინისტრაციული ერთეულის პრობლემის მოგვარება რომ უნდა, მაგრამ ამით საერთო ჯამში მუნიციპალიტეტი არ უნდა დაზიანდეს.

საკრებულოს წევრის **ელისო ჭიჭინაძის** თქმით მოსახლეობა გაურკვევლობაშია იმ ფაქტის გამო, რომ ფული იხარჯება სტიქიის პრევენციაზე და არ არის საკმარისი უკვე მომხდარი სტიქიის ზარალის სალიკვიდაციოდ. მან აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი კარგად იმუშავებს მას შემდეგ, რაც აღმოფხვრილი იქნება ძველი ზარალი, ასეთია ჯამბულ სურმანიძის სახლთან მისასვლელ გზაზე დაზიანებული ხიდი, რის გამოც მისი ოჯახი მოწყვეტილია გარე სამყაროს.

საკრებულოს წევრმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ლესის საბავშვო ბაღის სამზარეულოში ვენტილაციის პრობლემაა, სავარაუდოდ გამწოვს არ ააქვს საკმარისი სიმძლავრე და სათანადოდ ვერ მუშაობს, რის გამოც მზარეულებს უკიდურესად მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. იგი ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ ლესიის ადმინისტრაციულ ერთეულში დღემდე მოუგვარებელია წყლის პრობლემა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა არ არის კავშირში სტიქიის პრევენციის პროგრამასთან, ისევე როგორც რეგფონდის პროგრამა. პრევენციის პროგრამა იმით არის კარგი, რომ ქალაქის ტერიტორიაზე დასრულდება სანიაღვრე არხების გაკეთება და დარჩება ასფალტის საფარის დაგება. მან აქვე აღნიშნა, რომ ბაღები ყოველდღიურ რეჟიმში კონტროლდება მერიის შესაბამისი სამსახურების და სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ.

მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა ისაუბრა წყლის პრობლემაზე ლესისა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში და განმარტა, რომ ეს პროექტები უნდა მოსულიყო მარტის დასაწყისში და მოვიდა ერთი კვირის წინ, ასე რომ ნამდვილად ვადაგადაცილებულია და ახლაც მიმდინარეობს ამ პროექტებზე მუშაობა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ქუჩები სავსეა დაავადებული უპატრონო ძაღლებით და მოუწოდა კოლეგებს, რათა ერთობლივად გამონახონ გზები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ თითოეულ უპატრონო ძაღლზე გამოყოფილია 86 ლარი, მიყავთ ეს ძაღლები ცრიან, ბირკავენ და შემდეგ უკან მოყავთ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ღონისძიებები არ არის საკმარისი.

საკრებულოს წევრმა **რეზო კვერენჩხილაძემ** განმარტა, რომ ძაღლებს მარტო აცრა არ შველით, საჭიროა მათ შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდეთ, რადგან რაიონულ საავადმყოფოებში ყოველდღე მიყავთ ამ ძაღლების მიერ დაკბენილი ბავშვები.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო